

ძიღვევ ერთხელ ჭეშმარიტებაზე

საოცარია, არსად არ სურთ სიმართლის, მით უფრო სრული სიმართლის არა თუ თქმა, არამედ მოსმენაც კი. უფრო მეტიც, როცა ლაპარაკ იწყება ყველაზე მტკივნეულ სადღეისო საერთოეროვნულ, სახელმწიფოებრივ საკითხებზე, არ ისმენენ, ფიქრებით სხვაგან არიან. ჭეშმარიტებაზე საუბარი მათ მხოლოდ აღიზიანებთ. გაქრა სიმართლის მოსმენის მოთხოვნა, მისი მოსმენის მსურველი თითქმის აღარავინაა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ყველა იქცა ფარისევლად, თვალთმაქცად და არა მარტო სხვებთან, არამედ საკუთარ თავთანაც. არა მხოლოდ ხელისუფალთ, არამედ მათაც, ვისაც რაღაცა აქვს ხელთ (თანამდებობა თუ შემოსავლის სხვა წყარო) არა თუ თვით არ სურთ ილაპარაკონ სიმართლე, არამედ სხვისი მართალი საუბარიც არ მოსწონთ ხალხის უმრავლესობის გაჭირვებაზე (მაძღარს ყველა მაძღარი ჰგონია). იცვლება დრონი და ჩვენც მასთან ერთად?

სამწუხაროდ, დღეს „სიმართლეს ცოტა მუშტარი ჰყავს“ (ბუასტი), რადგან „სიმართლე ძნელი მოსასმენია“ და ეს მიდრეკილება, რაც ძალიან შორსაა როგორც გონიერებისაგან, ისე სამართლიანობისაგან, ღრმად ჩაინერგა უმრავლესობის გონებაში, გულში და სულში. „რადგან არ არის ჭეშმარიტება მათ ბაგეებში, ბილწია მათი შიგნეულობა, მათი ხორხი ღია საფლავია, მათი ენები ქლესაობენ“. (ფსალმუნნი, 5, 10)

ლ. ნ. ტოლსტოი გვასწავლიდა: „თუ ადამიანები გეუბნებიან, რომ ყველაფერში არ უნდა ჩასწვდე სიმართლეს, რადგან სრულ სიმართლეს ვერასოდეს ვერ იპოვი, არ ერწმუნოთ მათ და გეშინოდეთ ასეთი ადამიანებისა. ისინი ყველაზე ბოროტი მტრები არიან არა მხოლოდ ჭეშმარიტებისა, არამედ თქვენიც. ისინი ამას ამბობენ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ არ ცხოვრობენ სიმართლით და მათ ეს იციან და უნდათ, რომ სხვებმაც ასე იცხოვრონ“ არ არსებობს ორი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია.

1997 წლის 3 აპრილი. მოსკოვი. პარლამენტის ცენტრი. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასა და რეგულირებაში“. ჩაწერილი ვარ კამათში გამომსვლელთა სიაში პლენარულ სხდომაზე.

- თქვენ ახლა აფხაზეთზე არ დაიწყეთ, - მაფრთხილებს სხდომის თავმჯდომარე გამოსვლის წინ.

- მე მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი, - ვპასუხობ მე.

- არაა საჭირო ყოველთვის სიმართლის თქმა, - მეუბნება იგი.

ხელისუფალთა მთელი საქმიანობა წარმართულია ჭეშმარიტების ჩახშობისაკენ. ზუსტად ისე, როგორც ამბობს ვ. შვიობელი: „თავის ქვეშევრდომთა დაცვა სიმართლის შხამისაგან - ყველა მბრძანებლის უკეთილშობილესი ამოცანაა“.

განწირულია ის ქვეყანა დასაღუპავად, სადაც ჭეშმარიტების ცოდნა საშიშია სიცოცხლისათვის, სადაც სიმართლეს მალავენ, სადაც ჭეშმარიტების შესახებ საუბარი აკრძალულია. მეფეებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. „ბძენებს არ შესწევთ უნარი მეფეებთან ლაპარაკის: „მათ უნდა ელაპარაკო, რაც შეიძლება ცოტა და რაც შეიძლება ტკბილად“, ამბობს ზენონი.

არ შეიძლება ნორმალური იყოს ადამიანი, საზოგადოება, რომელსაც არ სურს რეალობის, სინამდვილის დანახვა, არ ეძებს ჭეშმარიტებას, რადგა „ჭეშმარიტება არის სინათლე, რომელიც მიუძღვის ხელის ცეცებით თავის გზაზე მიმავალ ერს“ (რ. უ. ემერსონი). „...ხოლო ყოველივეს სძლევს ჭეშმარიტება“ (მეორე ეზრა, 3, 12). ხელისუფალთაგან კი მეორდება ერთი და იგივე კითხვა: „უთხრა მას პილატემ: რა არის ჭეშმარიტება?“ (იოანე, 18, 38). როგორც ა. პ. ლოპუხინის რედაქციით გამოცემულ ბიბლიაშია განმარტებული, რომში ამ დროს მეფობდა მექრთამეობა და გამყიდველობა, თითოეული ცდილობდა ყოველნაირი ხერხით მხოლოდ სიმდიდრის დაგროვებას. ერთი სიტყვით პილატეს დროს რომაელებმა დაკარგეს ჭეშმარიტების არსებობის რწმენა, ისინი ყველგან ხედავდნენ სიცრუეს, არაგულწრფელობას და სამართლიანობის ყოველგვარი მოთხოვნისადმი ზიზღს. არც პილატეს სურდა ჭეშმარიტების მოსმენა და ამიტომ დაუსვა მან იესოს ზემოაღნიშნული კითხვა და არ დაელოდა პასუხს, ისე გავიდა იუდეველებთან. კითხვა დარჩა უპასუხოდ. ეს გამოთქმა გახდა სკეპტიკოსების ფორმულად. სახარება იოანესი

„უთხრა მას პილატემ: მაშ, შენ მეფე ხარ? მიუგო იესომ: შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვივლინე ქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგან არის, ისმენს ჩემს ხმას“ (18, 37)

„უთხრა მას პილატემ: რა არის ჭეშმარიტება? ეს რომ თქვა, კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: მე ვერავითარ ბრალს ვერ ვნახულობ მასი“ (18, 38)

არაკანონოკურ (კერძოდ ნიკოდიმის) სახარებაში იესოსა და პილატეს შორის საუბარი გრძელდება: პილატეს ზემოთ დასმულ კითხვაზე იესო პასუხობს: „ჭეშმარიტება მოდის ციდან“.

პილატე ამბობს: „ესე იგი, არ არსებობს ჭეშმარიტება ამ ქვეყნად?“

იესომ უთხრა პილატეს: „შეხედე, ვინც ლაპარაკობს ჭეშმარიტებას ამ ქვეყნად, განსჯილნი არიან მათ მიერ, ვისაც ძალაუფლება აქვთ ამ ქვეყნად“. ერთი სიტყვით, სწორედ ისე, როგორც ამჟამადაა ჩვენში.

ვალერიან ადვაძე

„დემოკრატიული არჩევნები: მითი და სინამდვილე“

.კარგა ხანია ყოფილი „ეროვნული ხელისუფლების“ წარმომადგენელთაგან და მათი მომხრეებისაგან გაისმის, შეფასება მიეცეს საქართველოში 1991-1992 წლების მოვლენებსო ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ საქართველოში 1991-1992 წლების მოვლენების ობიექტური შეფასება შეუძლებელია, თუ არ იქნა შეფასებული მისი წინა პერიოდის მოვლენები, კერძოდ, თუ არ მიეცა შეფასება 1990 წელს ჩატარებულ საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და 1991 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. უწინარეს ყოვლისა, აღნიშნული არჩევნების დემოკრატიულობა მოითხოვს დამტკიცებას. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ნათელი ყველასათვის ყველაფერი.

ჯერ კიდევ 1992 წლის გაზაფხულზე „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ გამგეობამ შევიმუშავეთ მემორანდუმი: „დემოკრატიული არჩევნები: მითი და სინამდვილე“, რომელშიც შეფასება მიეცა 1990-1991 წლებში საქართველოში ჩატარებულ უმაღლესი საბჭოსა და პრეზიდენტის არჩევნებს.

დოკუმენტი უაღრესად დასაბუთებული გამოვიდა, დასკვნები - ნათელი: არავითარი დემოკრატიული არჩევნები იმ წლებში საქართველოში არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, არც უმაღლესი საბჭო და არც პრეზიდენტი არ იყო არჩეული კანონიერად და, ცხადია, არ იყვნენ ლეგიტიმურნი. არგუმენტები და ფაქტები ამაზე მეტყველებდა.

„მემორანდუმი“ გამოვაქვეყნეთ გაზეთ „თბილისის“ 1992 წლის 20 აპრილის ნომერში. ოპონენტებისაგან დიდ გამოხმაურებას ველოდით.

დუმილი ორი კვირის მანძილზე გაგრძელდა.

ვიფიქრეთ, გაზეთი „თბილისი“ მაინც მხოლოდ დედაქალაქის გაზეთია, ტირაჟი არც თუ ისე დიდი აქვს, როგორც, მაგალითად „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც ფაქტობრივად ქვეყანაში პირველი გაზეთია. ამიტომ 1992 წლის 5 მაისის ნომერში გამოვაქვეყნეთ „მემორანდუმი“ ოპონენტებისადმი მოწოდებით, ჩაბმულიყვნენ დისკუსიაში.

აბსოლუტური დუმილი დღემდე...

„მემორანდუმში“ ნათქვამიდან ბევრი რამის განმეორება დამჭირდება იმათ გასაგონად, ვინც მაშინ პრესით, რადიოთი და ტელევიზიით, მიტინგებზე ამტკიცებდა და დღესაც ლაპარაკობს „დემოკრატიული არჩევნებისა და კანონიერი ხელისუფლების შესახებ“.

საქართველოს ექსპრეზიდენტი და მისი მომხრეები გვინმტკიცებდნენ და გვიმტკიცებენ, საპრეზიდენტო არჩევნებში ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა მოსახლეობის 87-მა პროცენტმაო. გვიმტკიცებენ პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, ჩაგვიჩინებენ მიტინგებზე.

ჭეშმარიტებას არ სჭირდება ასეთი აჩემებული და მომაბეზრებელი მტკიცება, ცხადია, იგი მხოლოდ სიცრუის დასამკვიდრებლადაა აუცილებელი.

„საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“ არასოდეს იზიარებდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს 1990 წლისა და პრეზიდენტის 1991 წლის არჩევნების დემოკრატიულობის მტკიცებას. არჩევნებზე და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ და მისი სპიკერის მიერ დამყარებული პოლიტიკური რეჟიმზე ყოველთვის ანტიდემოკრატიულად მიგვაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ რეჟიმის შეფასებაში ჩვენ მარტონი არ ვიყავით. ამავე პოზიციაზე იყო საქართველოს ინტელიგენციის უმრავლესობა, მისი ყველაზე სახელოვანი წარმომადგენლები და საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანებულ ორგანიზაციათა გარდა.

შემდგომში „მრგვალი მაგიდას“ ანტიდემოკრატიულ რეჟიმს აშკარად დაუპირისპირდნენ მასში გაერთიანებული რამდენიმე პარტიის ლიდერებიც.

დავიწყეთ იმით, რომ ნებისმიერი არჩევნების დემოკრატიულობის უპირველესი ნიშანია საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ყველასათვის თანაბარი პირობებისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ არც 1990 წლის საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და არც 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ეს პირობები დაცული არ იყო.

გამსახურდიამ დაიწყო იმით, რომ გადამეტებულად მოუყარა თავი ძალაუფლებას თავის ხელში. 1991 წლის 14 აპრილის კანონით, რომელიც საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო ყოველგვარი განხილვის გარეშე, მისი შეტანიდან რამდენიმე საათში, დელეგირებას უკეთებდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს (მომავალ პრეზიდენტს) მთელ აღმასრულებელ ძალაუფლებას და საკანონმდებლოს მნიშვნელოვან ნაწილს, ისე, რომ თავისთვის არ იტოვებდა რაიმე საკონტროლო ფუნქციას. და ეს მაშინ, როცა არ არსებობდა გზა კონსტიტუციური წესით პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის.

აღნიშნული კანონი არ განსაზღვრავდა რამდენჯერ შეიძლებოდა ზედიზედ პრეზიდენტის პოსტის დაკავება. ამის ნაცვლად მას შემოჰქონდა საზღვრითი ასაკი პრეზიდენტის კანდიდატისათვის - 65 წელი. (რომელიც გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ აიყვანა 70 წლამდე). თუ გავითვალისწინებთ, რომ გამსახურდია პრეზიდენტად არჩევის წინ იყო 52 წლის, თეორიულად იგი შეიძლებოდა არჩეულიყო ოთხჯერ და ემართა ქვეყანა 20 წელიწადს, 2011 წლამდე.

კანონს შემოჰქონდა ბინადრობის ცენზიც პრეზიდენტობის კანდიდატისათვის, მას ხუთი უკანასკნელი წელიწადი უნდა ეცხოვრა საქართველოში (ჩამოიშორეს შევარდნაძე).

იმავე 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ღია კენჭისყრით, უალტერნატივოდ და ერთხმად პრეზიდენტად (და არა პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად) აირჩია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია

და ამ „პატრიოტულ“ ტალღაზე თვენახევრის შემდეგ „საყოველთაო-სახალხო არჩევნებით“ „გააპრეზიდენტეს“ იგი.

1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს თვით არჩევნების კამპანიის პროცესში საარჩევნო კანონი იცვლებოდა ხელისუფლების „ერთადერთი კანონიერი კანდიდატის“ - გამსახურდიას სასარგებლოდ. (ასე მონათლა უსაზღვროდ ლაქია ინფორმაციის საშუალებებმა იგი). ზუსტად ისე, როგორც ვ. შვიობელი ამბობს: „კანონები ხელისუფალთათვის არაა დაწერილი, დასჭირდებათ შეცვლიან“.

მაგალითი. მოქმედი საარჩევნო კანონის სრული შესაბამისობით, ამომრჩეველთა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, პრეზიდენტობის კანდიდატად წამოეყენებინა მსჯავრდაუდებელი ჯაბა იოსელიანი. ხეძიებაში და წინასწარ პატიმრობაში მყოფი, მაგრამ ჯერ კიდევ დამნაშავედ არცნობილი და ლისუფლებამ საერთაშორისო ნორმებისა და თვით საქართველოს კონსტიტუციის (92-ე და 172-ე მუხლები) დარღვევით შეიტანა საარჩევნო კანონში ცვლილება, რითაც აუკრძალა მას არჩევნებში მონაწილეობა. ამით უგულებელყვეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, თანაც კანონს უკუქცევითი ძალა მიანიჭეს.

საერთოდ, საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ ხელისუფლებამ რამდენჯერმე შეიტანა ცვლილება საარჩევნო კანონში კვლავ ერთი კანდიდატის - გამსახურდიას სასარგებლოდ. ერთ-ერთი ასეთი ცვლილების შედეგად საარჩევნო ბიულეტენში გამსახურდიას მეორეს მაგიერ პირველი რიგითი ნომერი მიეკუთვნა, მაშინ, როდესაც ეს ნომერი, მოქმედი კანონის შესაბამისად, ირაკლი შენგელაიას ეკუთვნოდა. პრეტენდენტის რიგით ნომერს ბიულეტენში გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და, ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ არა ეს მნიშვნელობა, უზენაესი საბჭო არ შეიკრიბებოდა სასწრაფოდ და არ მიიღებდა ასეთ უცნაურ გადაწყვეტილებას.

პრეზიდენტის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში ერთ-ერთი ცვლილების შედეგად, უმაღლესმა საბჭომ უფლება მიიღო, გაეუქმებინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების შესახებ, რითაც ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადა აღნიშნულ კომისიას! ასეთ მაგალითებს მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკა, მით უმეტეს, თუ მას დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს, არ იცნობს.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს რესპუბლიკური პრესის ორგანოები, რადიოსა და განსაკუთრებით ტელევიზიის ხელმძღვანელობა სისტემატურად არღვევდა პრეზიდენტობის ყველა პრეტენდენტისათვის თანაბრად გამოყოფილ დროსა და ფართობს პრესაში - კვლავ და კვლავ ერთი პრეტენდენტის - გამსახურდიას სასარგებლოდ. ამ ერთადერთი კანდიდატისათვის მუშაობდა მთელი პრესა, რადიო, ტელევიზია, ყველა და ყველაფერი. მხოლოდ იგი სარგებლობდა შეუზღუდავი უფლებით, საარჩევნო კამპანიისათვის გამოეყენებინა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამას ემატებოდა მისი, როგორც უკვე მოქმედი (პარლამენტის მიერ არჩეული) პრეზიდენტის, საქმიანობის ასახვა აშკარად გადაჭარბებული დოზით, მისი პოეტური თუ მეცნიერული მოღვაწეობის გაუმართლებელი პროპაგანდა.

მაქსიმალურად გამოიყენებოდა ეგრეთწოდებული ადმინისტრაციული რესურსი, სახელმწიფო აპარატი, სამინისტროები, პრეფექტურები, თვით სამართალდამცავი ორგანოებიც კი, რომლებიც მობილიზებულნი იყვნენ ხელისუფლების მიერ, რათა თავიანთი მოქმედების არეალში გამსახურდიას სასარგებლოდ ზემოქმედება მოეხდინათ ამომრჩევლებზე. პრესაში დაიბეჭდა, რადიოთი და ტელევიზიით გადაიკა რიგი სამინისტროების მიმართეები თითქმის იდენტური ტექსტით, რომლებშიც იყო მოწოდება, ხმა მიეცათ მხოლოდ „პრეზიდენტობის ერთადერთი სრულუფლებიანი“ კანდიდატისათვის - გამსახურდიასათვის.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხელისუფლებამ გაამკაცრა კონტროლი ინფორმაციის საშუალებებზე. მათთვის, ვისი აზრიც არ ემთხვეოდა ოფიციალურს, ტელევიზიაში და რადიოში მისასვლელი დაიკეტა. გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი“ დაიხურა „ქალაქის უკმარისობის“, ფაქტიურად კი რეჟიმის კრიტიკის გამო. დაიკეტა აგრეთვე გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“. გაზეთ „7 დღის“ რედაქტორს დაუწყეს დევნა პუბლიკაციისათვის, რომელიც პრეფექტების კრიტიკას შეიცავდა.

პრეზიდენტი ნიშნავდა წამყვანი გაზეთების რედაქტორებს. გაუქმდა კომუნისტების მიერ შემოღებული უმაღლესი სასწავლებლების რექტორების არჩევა, მათ პირადად პრეზიდენტი ნიშნავდა.

დიდი იყო დაწოლა ამომრჩევლებზე, განსაკუთრებით რაიონებში და სოფელ ადგილებში, სადაც ადმინისტრაციამ მიიღო დავალება მიეღწიათ გამსახურდიასათვის ხმების მაქსიმუმისათვის. მთლიანად რაიონებში და სოფელ ადგილებში მართლაც მეტი იყო გამსახურდიასათვის მიცემული ხმების ხვედრითი წონა, განსხვავებით თბილისისა და სხვა ქალაქებისაგან, სადაც უფრო მაღალი იყო მოსახლეობის ინტელექტუალური დონე და იცოდნენ ვისი არჩევა რას მოუტანდა ქვეყანას.

ამავე დროს, პრეზიდენტობის სხვა პრეტენდენტების და მათი ნდობით აღჭურვილი პირების სატელევიზიო გამოსვლები თუ პუბლიკაციები პრესაში რეგლამენტის ფარგლებშიც კი ხელისუფლების მიერ უმკაცრეს ცენზურას ექვემდებარებოდა და იკრძალებოდა კიდევ. საკმარისი იყო, ცენზორს რაიმე არ მოსწონებოდა ვიდეოჩანაწერიდან და გაზეთებში გამოსაქვეყნებლად გადაცემული მასალიდან, ამოჭრიდა მისთვის მიუღებელ ნაწილს ან საერთოდ აკრძალავდა გადაცემას და პუბლიკაციას, რასაც ვერაფერი შეელოდა, თვით ოპონენტი პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ შიმშილობის გამოცხადებაც. და ეს ყველამ იცის, რადგან ამას მთელი მსოფლიო უყურებდა. ასე აიკრძალა პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირების - მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის, პროფესორ რომან მიმინოშვილის, ლევან ღვინჯილიას და სხვათა სატელევიზიო გამოსვლები.

ჭაბუა ამირეჯიბის მეორე სატელევიზიო გამოსვლის შინაარსი ჩანაწერის მიხედვით გახდა ცნობილი ხელისუფალთათვის. „უცნობი პირები“ მწერალს შვილის მოკვლით დაემუქრნენ. „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ გამგეობის თხოვნით და ტელევიზიის ხელმძღვანელობის „თანხმობით“ ჩანაწერი არ გადაიკა.

1990 წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „მრგვალი მაგიდის“ პარტიებმა, რომლებმაც ადრე გაიარეს რეგისტრაცია და თავიანთი წარმომადგენლები დანიშნეს კომისიაში, ხმების უმრავლესობით უარი უთხრეს სხვებს არჩევნებში მონაწილეობაზე, რეგისტრაცია გადააქციეს არჩევნებში მათი კონკურენტი პარტიების მონაწილეობის აკრძალვად! *სად იყო დემოკრატია, სამართალი და სამართლიანობა, სად იყო ელემენტარული ლოგიკა? როგორ შეიძლებოდა პარტიათა ერთ ჯგუფს გადაეწყვიტა პარტიების მეორე ჯგუფის არჩევნებში მონაწილეობის საკითხი?*

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, მაგრამ „მრგვალი მაგიდა“ ამ პარტიების წინააღმდეგ გააჩაღა აღვირახსნილი კამპანია, ისტერიული ყვირილი, *მოაწყო უზენაესი სასამართლოს პიკეტირება ისე, რომ მისმა თავმჯდომარემაც კი ვერ შეძლო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიტანა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და იგი დეპეშით აცნობა.*

ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტობის კანდიდატები თანაბარ პირობებში იყვნენ, როდესაც თვით პარლამენტის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა: ჩვენ არ ვართ თანაბარი პრეტენდენტები, მე უკვე არჩეული პრეზიდენტი ვარ, ისინი კი მხოლოდ პრეტენდენტები არიან და ამით გაამართლა ის შეზღუდვები და დისკრიმინაცია, რასაც ხელისუფლება თავაშვებულად ატარებდა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მიმართ.

გამსახურდია და მისი გუნდი არ ერიდებოდნენ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების საჯაროდ ლანძღვას, მექრთამეებად, კრემლის აგენტებად და ხალხის მტრებად გამოცხადებას, რომელთაც გასამართლებითა და სიკვდილით დასჯით ემუქრებოდნენ. ამ დროს საქართველოს პოლიცია და სუკი, სამართლდამცავი ორგანოები, რომლებიც მისი არჩევისათვის ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი ჯერ კიდევ მთლიანად ცენტრიდან, მოსკოვიდან ფინანსდებოდნენ.

პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების შესახებ პრესასა და ტელევიზიაში აქვეყნებდნენ „კოლექტიურ წერილებს“ გაუგონარი ცილისწამებით. ინფორმაციის საშუალებებმა შეუქმნეს მათ უარყოფითი იმიჯი და ეს ყველაფერი ხდებოდა იმ დროს, როდესაც პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მიერ გამსახურდიას და მის მიერ შექმნილი პოლიტიკური რეჟიმის მკაცრ, მაგრამ უაღრესად სამართლიან და კორექტულ კრიტიკას, არავითარ პიროვნულ შეურაცხყოფას რომ არ შეიცავდა, უდიდესი აღშფოთებით ხვდებოდა ხელისუფლება. *გაჩნდა ამ უკანასკნელის მიერ ინსპირირებული „კოლექტიური წერილები“ მოთხოვნით - აეკრძალათ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების სატელევიზიო გამოსვლები.*

საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობისას პოლიტიკურ ბრძოლაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ თაკილობდა ისეთი სამარცხვინო, ბინძური მეთოდების გამოყენებასაც, როგორცაა კონკურენტების საქმიანობაზე მეთვალყურეობის დაწესება, რაც

გამოიხატებოდა მათ გადაადგილებაზე თვალთვალთ და ვიდეოჩანაწერების გაკეთებით, სატელეფონო საუბრების მოსმენით და ა. შ.

ხელისუფლება პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მიმართ არჩევნების პერიოდში აშკარა ტერორსაც მიმართავდა. მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, დაარბიეს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატის შტაბბინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა მისი მინისტრის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით.

არჩევნების რა დემოკრატიულობასა და კანონიერებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არჩევნების წინ ქალაქებსა და რაიონებში მანქანებით დაძრწოდნენ ავტომატებით შეიარაღებული პირები, ტერორისა და შიშის ატმოსფეროს თესავდნენ მოსახლეობაში. განსაკუთრებით ტერორიზებული იყო არაქართველი მოსახლეობა, რომელსაც საქართველოდან გასახლებით ემუქრებოდნენ, თუ რაიონში ნაკლები იქნებოდა გამსახურდიას მომხრეთა პროცენტი. ასეთ ატმოსფეროში, ცხადია, ამომრჩევლებს არ ჰქონდათ თავიანთი ნების თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობა.

უდიდესი მასშტაბების იყო დარღვევები და შედეგების ფალსიფიკაცია არჩევნების დღეს. ამ დარღვევების შესახებ ოფიციალური პროტესტი, რომელიც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ შეიტანა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რეაგირების გარეშე დარჩა. ჰელსინკის საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელი დ. ლეონოვი თავისი ინიციატივით ეწვია ქუთაისის რიგ საარჩევნო უბნებს და უსიამოვნებებიც შეხვდა, როდესაც შეეცადა, მის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ აქტები შეედგინა. მოგვიანებით მან ამის შესახებ ოფიციალურად დაწერა ჟურნალ „ნოვოე ვრემიაში“.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის დარბევა, უზენაესი სასამართლოს პიკეტირება, ე.ი. სამართლდამცავი ორგანოებისა, რომელთაც უნდა უზრუნველყოთ სტაბილიზაცია და არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარება; „მრგვალი მაგიდის“ გარეთ მყოფი პარტიების მომხრე მოსახლეობის შანტაჟი; ავტომატებით შეიარაღებული ჯგუფების თარეში საარჩევნო უბნებში; საუბნო საარჩევნო კომისიებიდან „არასაიმედოთა“, ისევე როგორც „მრგვალი მაგიდის“ ოპონენტი პარტიების წარმომადგენელთა პირდაპირი გაძევება; ავტომატების გამოყენება, გარდა მოსახლეობის დაშინებისა, პოლიტიკური ოპონენტების ბინების დაცხრილვისათვის; პოლიციის მინისტრის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით პრეზიდენტობის კანდიდატის შტაბბინის დარბევა; არჩევნების შედეგების უპრეცედენტო ფალსიფიკაცია; ყოველივე ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ იყო და კიდევ ბევრი სხვა რამ არ შეიძლებოდა ყოფილიყო დემოკრატიული არჩევნების ატრიბუტი. ადამიანები, რომლებიც ყველაფერ ამას უყურებდნენ, ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრები, რომელთა თვალწინ ხდებოდა ფალსიფიკაცია, მადლობა ღმერთს, მათი უდიდესი უმრავლესობა ცოცხალია და, გვწამს, ახსოვთ. ათიათასობით ჩვენს მოქალაქეს შეუძლია, დაადასტუროს ეს და კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ ხმების „87 პროცენტი“, რაც თითქოს გამსახურდიამ მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში, არის ბლეფი.

აი ასე „კანონიერად“, „გამჭვირვალედ“, „დემოკრატიულად“ და „კონკურენტულ“ ვითარებაში ტარდებოდა საქართველოში 1990-1991 წლებში უმაღლესი საბჭოსა და პრეზიდენტის არჩევნები.

ნათქვამიდან გამომდინარე, ისმება ლოგიკური კითხვები, რომლებზეც პასუხი დღესაც ვერ ვხედავთ: შეიძლებოდა კი ანტიდემოკრატიულად ჩატარებული არჩევნებით გვეყოლოდა ლეგიტიმური პარლამენტი და პრეზიდენტი? ცხადია - არა. ჰქონდათ თუ არა მათ მორალური უფლება ემართათ ქვეყანა? ცხადია - არა.

აქ შეიძლებოდა დაგვემთავრობინა მსჯელობა, მაგრამ გავაგრძელოთ. დავუშვათ, უმაღლესი საბჭოც და პრეზიდენტიც დემოკრატიულად იყვნენ არჩეულნი და, მაშასადამე, ლეგიტიმურნი. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ აკრძალეს განსხვავებული თვალსაზრისი, უმაღლეს საბჭოდან „დემოკრატიულად“ გააძევეს ოპოზიციური დეპუტატები(!), გადაკეტეს ინფორმაციის საშუალებები და თავის თანამემამულეთა უდიდეს, ყველაზე მოაზროვნე ნაწილს პირზე კლიტე დაადეს, საქართველო მოწყვიტეს გარე სამყაროს, საკუთარ ხალხს ტყვეები დაუშინეს, თავიანთ მომხრეებს მოუწოდეს ოპოზიციის წარმომადგენელთა ფიზიკური მოსპობისაკენ, მაინც არ იყო ის რეჟიმი დასამხობი? მათ ხომ ხალხს სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს, გარდა შეიარაღებული აჯანყებისა!

ნათქვამია, როცა ხალხი და მეფე ვერ თანხმდებიან, მაშინ ან მეფემ უნდა გამოცვალოს ხალხი, ან ხალხმა - მეფე. პირველი შეუძლებელია, მოხდა მეორე. ამიტომ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში მომხდარი რევოლუცია, რომელმაც დაამხო სისხლიანი რეჟიმი საქართველოში, იყო ისტორიულად კანონზომიერი და მორალურად გამართლებული.

აქ უპრიანია გავიხსენოთ ა. რივაროლის სიტყვები: „თუ მთავრობა იმდენად უგუნურიცაა, რომ საქმე აჯანყებამდე მიჰყავს და იგი იმდენად სუსტია, რომ არ შესწევს უნარი მისი ჩახშობისა, აჯანყება ისევე გამართლებულია, როგორც ავადმყოფობა, რომელიც ბუნებისაგან ჩვენთვის მოცემული უკანასკნელი რეზერვია“.

უნდა მოვიშველიოთ ა. ლინკოლნიც, რომელიც ლაპარაკობდა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მაგრამ მისი ნათქვამი მიესადაგება ყველა ქვეყანას, სადაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობაა. „ჩვენი ქვეყანა, - ამბობდა იგი, - თავისი ყველა ინსტიტუტით, ეკუთვნის აქ დასახლებულ ხალხს. თუ ხალხს მობეზრდა არსებული მთავრობა, მას შეუძლია ისარგებლოს თავისი კონსტიტუციური უფლებებით და შეცვალოს მისი პოლიტიკა, ან გამოიყენოს თავისი რევოლუციური უფლება, რათა შეცვალოს მინისტრების ნაწილი ან მთლიანად დაამხოს მთავრობა“. როგორც ტ. პეინი ამბობს: „როცა ყველა სხვა დანარჩენი უფლება ფეხქვეშაა გათელილი, აჯანყების უფლება ხდება უდავო“. ასე რომ, ხალხს აქვს თუნდაც ლეგიტიმური, მაგრამ საძულველი მთავრობის რევოლუციურად დაშლის უფლება. და სწორედ ასე მოხდა ჩვენში 1992 წლის დასაწყისში, როცა არალეგიტიმური „ეროვნული მთავრობა“ დაამხეს, მისი წარმომადგენლები კი „არამზადებივით, უგვანო ბრბოსავით განიდევნენ ქვეყნიდან“. (იობი, 30, 40).

ასე მოიპოვა ძალაუფლება ოპოზიციამ. თუმცა საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების სპეციალისტს - ჟაკ სეგალის მიაჩნია, რომ ძალაუფლებას არასოდეს მოიპოვებენ: ეს მოწინააღმდეგე კარგავს მას. მართლაც, „ეროვნულმა მთავრობამ“ თავისი უგუნური პოლიტიკის შედეგად დაკარგა ძალაუფლება. აქ კი მთავარი ის იყო, რომ მან თავისი ხალხის ნაწილთან - ოპოზიციასთან - ვერ გამონახა საერთო ენა, ერი ორად გახლიჩა და მის მომხრე ნაწილს მოუწოდა ოპოზიციის ფიზიკური მოსპობისაკენ.

ჟაკ სეგალის აზრს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ 1990 წელს „მრგვალმა მაგიდამ“ კი არ მოიპოვა ძალაუფლება, არამედ კომუნისტებმა დაკარგეს იგი. მაგრამ „ეროვნულმა ხელისუფლებამ“ სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე ყველაფერი „გააკეთა“ იმისათვის, რომ დაეკარგა ძალაუფლება და ხელისუფლების სათავეში კვლავ დაბრუნებულიყვნენ ყოფილი კომუნისტები.

დამხობილი „ეროვნული ხელისუფლების“ წარმომადგენლებსა და მის მომხრეებს თითქოს ყველაფერი ეს არ გაუგონიათ, არ უნახავთ, არ ახსოვთ და დღესაც გაჰკვივან „დემოკრატიული არჩევნების“, „კანონიერი ხელისუფლებისა“ და „ხმების 87 პროცენტის“ შესახებ, რაც თითქოს გამსახურდია მიიღო. და ეს გრანდიოზული სიცრუე წარამარა მეორდება ყველგან. „ისტორია კი ვერ ითმენს ვერავითარ შემთხვევით და უმნიშვნელო სიცრუესაც კი“, - ამბობს ლუკიანე. ჩვენთან, პირიქით, ნამდვილად დასტურდება ჰიტლერის ნათქვამი: „რაც უფრო გრანდიოზულია სიცრუე, მით უფრო ადვილად იჯერებენ მას“. სამწუხაროდ, ეს სიცრუე „დემოკრატიული არჩევნების, ლეგიტიმური უზენაესი საბჭოსა და პრეზიდენტის“ შესახებ უკვე შევიდა საქართველოს ისტორიაში „სერიოზულად და დიდი ხნით“.

აი ესაა ნამდვილი სიბნელე, საღი აზრის შეურაცხყოფა, ჭეშმარიტების ბოროტი დაცინვა. ასე იწერება ისტორია?! მართალია ნაპოლეონ პირველი, როცა ამბობს: „რა არის ისტორია, თუ არა სიცრუე, რომელსაც ყველა ეთანხმება“.

მესმის შეპასუხება: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განწყობილება მაშინ ისეთი იყო, რომ სრული დემოკრატიული არჩევნების ვითარებაშიც „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და გამსახურდია მაინც გაიმარჯვებდნენ, ხმების 51%-ს ხომ მაინც მიიღებდნენ.

მსჯელობა წარსულზე: „რომ ყოფილიყო ... იქნებოდა...“ *აბსურდია*. ჩვენ არ ვიცით და ვერც ვერასოდეს ვერ გავიგებთ იმას რა იქნებოდა ნამდვილად დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების პირობებში, რადგან წარშულში არ არსებობს ვარიანტები, საათს უკან ვერ გადაიყვან, გავლილს ხელახლა ვერ გაივლი, ვერც შეასწორებ. რაც იყო, იყო! იყო კი არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები და ეს ფაქტია. არადემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება კი - პარლამენტი და პრეზიდენტი - არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური. ესაა ჭეშმარიტება.

ისტორიკოსების, პოლიტოლოგების უპირველესი ამოცანაა მტკიცედ მიჰყვენ ძველ ლათინურ დარიგებას: „ისტორიის პირველი წესია, არ დაუშვას სიცრუე“ და დაამკვიდრონ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, ჭეშმარიტება, კერძოდ ის, რომ *საქართველოში 1990 და*

1991 წლებში არ ყოფილა დემოკრატიული არჩევნები და, მაშასადამე, არც ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო და პრეზიდენტი. ჭეშმარიტება ყველაზე მაღლა დგას, ამიტომ „ისტორია არ უნდა გასცდეს ჭეშმარიტების ზღვარს“, – უთქვამს პლინიუს უმცროსს. ხოლო ქართველი ხალხი, საქართველოს მთელი მოსახლეობა თუ კარგად გაიხსენებს და გაიაზრებს თავის უახლოეს წარსულს, დარწმუნდება, რომ 1990-1991 წელს ჩვენში არავითარი დემოკრატიული არჩევნები არ ყოფილა. ამ ჭეშმარიტების გაგება აუცილებელია მისი გადარჩენისათვის. ამიტომ დგას ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა.

ვალერიან ადვაძე

P. S. მწამს, ამ წერილის წაკითხვისთანავე ბევრს დაებადება სურვილი მედაოს, არ დამეთანხმოს. მათ შეუძლიათ ედავონ წერილში მოყვანილ ფაქტებს, არგუმენტებს და ლოგიკას. არ არსებობს მტკიცება ფაქტების წინააღმდეგ. მე არ მაქვს პრობლემები ფაქტებთან და ლოგიკასთან.

ველი აგრეთვე შეძახილებს ოპონენტებისაგან: როგორ, მომდევნო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად, გამჭვირვალედ ტარდებოდა, არ ხდებოდა არჩევნების შედეგების ფალსიფიკაცია? ვპასუხობ: ხდებოდა, უფრო მასშტაბურადაც! მაგრამ ყოველივე ამას სწორედ 1990-1991 წლებში ჩაეყარა საფუძველი.

ნუ ვიქნებით ილუზიების ტყვეობაში! თუ კიდევ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, უნდა ვფქვათ, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში დღემდე არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა დემოკრატიულად და არც შეიძლება ასეთად ჩატარებულიყო. უთავრესად იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არაა დემოკრატიული. არჩევნები, პარლამენტი და ხელისუფლება არ შეიძლება იყოს უფრო დემოკრატიული, ვიდრე საზოგადოებაა.

ნუ ხართ ილუზიების ტყვეობაში! საქართველოში არ არის დემოკრატია. ჩვენზეა ნათქვამი ტაციტუსის სიტყვები: „შექმნეს მყრალი ჭაობი და ამას უწოდებენ დემოკრატია“. დემოკრატია შეიძლება მხოლოდ ერთიან, მდიდარ, აყვავებულ, მშვიდობიან, ბედნიერ ქვეყანაში. რა დემოკრატიაზეა ლაპარაკი, თუ საახელმწიფო ტერიტორიულად დაშლილია, ქვეყნის მოსახლეობის ოთხიმეხუთედი ღატაკი და გაჭირვებულია, ხოლო მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ნაგვის ყუთებში ეძებს ლუკმაპურს?

ნუ ხართ ილუზიების ტყვეობაში! დემოკრატიული საზოგადოება საქართველოში ჯერ კიდევ არ შექმნილა. არც არასოდეს შეიქმნება, თუ არ გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, თუ არ შეიქმნება მისი ყოფის ნორმალური პირობები. თუ ამას არ შევქმნით, მაშინ ღატაკ ქვეყანაში „დემოკრატია“ დიდხანს ვერ იარსებებს და მის წინააღმდეგობად გადაიქცევა, აუცილებელია წავა ტოტალიტარული რეჟიმისაკენ ან ფაშიზმისაკენ. გაიხსენეთ პლატონის სიტყვები: „დემოკრატისაგან იბადება ტირანია“.

საქართველო დღეს არ არის და არც შეიძლება იყოს ნორმალური ქვეყანა, რადგან დაცემული და დაშლილია.

თუ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ელიტა ისე არ გადაგვარდა, რომ ეს გაიგოს, საერთოსახელმწიფოებრივი მიზნის დასახვის უნარიც აღარ გააჩნია, არ შეუძლია დაიცვას ქვეყნის მთლიანობის ინტერესები, შეაჩეროს მისი დაშლა და მხოლოდ საკუთარი პირადი ინტერესების, სიმდიდრის მოხვეჭის ჭაობში არაა საბოლოოდ ჩაფლული, საიდანაც მას ამოსვლა აღარ ძალუძს, ეგოიზმის ჩარჩოებიდან გადაბიჯება აღარ შეუძლია, მაშინ მან იმდენი სინდის-ნამუსი მაინც იქონიოს, რომ გადადგეს, ჩამოშორდეს პოლიტიკურ ცხოვრებას და გზა დაუთმოს იმათ (ასაკოვანთ და ახალგაზრდებს), რომელთაც შეუძლიათ ნამდვილად იხსნან ქვეყანა, ამოიყვანონ უფსკრულიდან, სადაც სამმა პრეზიდენტმა გადაჩეხა.